

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #2

ქ. თბილისი

2019 წლის 17 ივნისი

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

1. აბესაძე ნინო 2. ხოხობაია მერაბი 3. სახვაძე საბა 4. ბერაძე თამარი 5. შვანგირაძე მათე 6. ლაშხი თამარი 7. არჩვაძე ნათელა 8. თუთბერიძე ბეჟანი 9. მაჭავარიანი ლია 10. მუკბანიანი ომარი 11. ჩხაიძე სიმონი 12. თავხელიძე ილია (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ) 13. ბილისიეიშვილი გიორგი 14. თუმანიშვილი გიორგი 15. ივანიძე მაია 16. გარიშვილი მარინა 17. ყალიჩავა კობა 18. ონიანი ირაკლი 19. ჯავახიშვილი არჩილი 20. მარანელი სანდრო (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ) 21. მარგველაშვილი ვლადიმერი 22. ჩართოლანი ანა 23. გოგსაძე გიორგი 24. დუნდუა სალომე 25. ბებერაშვილი ელენე 26. გაბშვილი ალექსანდრე 27. ჩიტაია დაჩი 28. ჟვანია ირინე 29. ცანავა ქეთევანი 30. თოფურია სალომე 31. ლორია კახაბერი 32. ბახტაძე მიხეილი 33. ოთხმეზური გიორგი 34. რუსეიშვილი მანანა 35. ვარდომეილი ეკა 36. თაბუაშვილი აპალონი 37. თვალაძე მარიამი 38. ცოფურაშვილი ნიკოლოზი 39. კეჟერაშვილი შოთა 40. ხუციშვილი დინა 41. გაიპარაშვილი ზურაბი 42. ღარიბაშვილი ირაკლი 43. სუმბაძე ციური 44. ცქიტიშვილი თემური 45. ახალბედაშვილი ლალი 46. კაკულია ეთერი 47. ხუციშვილი მარინე 48. რუხაია მიხეილი 49. ხუციშვილი სოფიო (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ) 50. ჩალაძე თამილა (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ) 51. ლომიძე ნოდარი (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ) 52. გურგენიშვილი მარინა (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ) (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. ავაზაშვილი ნიკოლოზი 2. ამირანაშვილი ავთანდილი 3. გოცირიძე დავითი 4. ზაუტაშვილი მარინე 5. იმნაძე პაატა 6. კერესელიძე დავითი 7. კვინიკაძე მურმანი 8. კუხიანიძე ალექსანდრე 9. ლობჯანიძე გია 10. მექვაბიშვილი ელგუჯა 11. მინდაძე ნინო 12. სილაგაძე ავთანდილი 13. ფერაძე გოჩა 14. ფურთუხია ომარი 15. ქურდაძე ირინე 16. ქურდაძე რამაზი 17. ყულიჯანიშვილი აკაკი 18. შანიძე რევაზი 19. შენგელია თემური 20. შავლაყაძე ნუგზარი 21. ცისკარიძე ალექსანდრე 22. ხუსკივაძე მამუკა (დანართი 2)

სხდომის დაწყებამდე წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის, ბატონ სევერიან წაქაძის ხსოვნას.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპირეკის, ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილის მიერ დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს ზოგიერთი წევრისთვის სტატუსის შეწყვეტა (მომხსენებელი: გიორგი ჩაკვეტაძე)
2. თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება (მომხსენებელი: ზვიად მურადაშვილი)
3. თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების დადასტურება (ცნობა) (მომხსენებელი: გიორგი ჩაკვეტაძე)
4. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების დამტკიცება (მომხსენებელი: მარინა ჩავლეიშვილი)
5. „სსიპ - ივანეჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის №64/2019 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: კახაბერ ჭიიშვილი)
6. „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 მაისის №45/2019 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)
7. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 მაისის №46/2019 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)
8. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (უნივერსიტეტის ქუჩა) განკარგვის საკითხი (მომხსენებელი: ლაშა სალინაძე)

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1.წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფრომა, გიორგი ჩაკვეტაძემ სხდომის მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა სტატუსის შესახებ.

აღნიშნა, რომ სენატის სამდივნოს განცხადებებით მომართეს იურიდიულ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა ბახვა კვირიკაშვილმა (# 8804/10-02, 08.04.2019 წ) და პავლიკა ჯაგუნავამ (#10474/10-02, 16.05.2019 წ) და ითხოვეს, პირადი განცხადებების საფუძველზე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტა. ამასთან აღნიშნა, რომ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა გიორგი ოქიტაშვილმა უარი განაცხადა ადგილმონაცვლეობის წესით წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობაზე (27.05.2019 წ. 10934/10-02), რაც საბჭოს მიერ ცნობად უნდა იქნეს მიღებული.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსი უწყდება ელევთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის წარმომადგენელს ბატონ სევერიან წაქაძეს (ადმ.ხელმძღვ.ბრძ. #340/02-03 03.05.2019 წ).

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

მომხრე: 46

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 1) სევერიან წაქაძეს, ბახვა კვირიკაშვილსა და პავლიკა ჯაგუნავას შეუწყდეთ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსი.

2) ცნობად იქნას მიღებული გიორგი ოქიტაშვილის განცხადება, ადგილმონაცვლეობის წესით წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობაზე უარის თქმის შესახებ.

2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ზვიად მურადაშვილმა, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო ინფორმაცია წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ. აღნიშნა, რომ 12 ივნისს ჩატარდა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნები თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) შემადგენლობაში განსაზღვრული ვაკანტური ადგილებისა და ვადამდე უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრების ნაცვლად ახალი წევრების არჩევის მიზნით,

მისი განცხადებით, არჩევნებმა ჩაიარა მშვიდ გარემოში, ყველანაირი ექსცესისა და გართულების გარეშე. შესაბამისად, არჩეული იქნა 8 წევრი, შემდეგი ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების მიხედვით.

1. **სოფიო ხუციშვილი** - თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი;
2. **თამილა ჩალაძე** - თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი;
3. **მანანა ნიკოლაიშვილი** - თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - მიხეილ ნოდინას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი;
4. **მარინა გურგენიშვილი** - თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი;
5. **ნოდარ ლომიძე** - თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
6. **ილია თავხელიძე** - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.
7. **ბექა დვალიშვილი** - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი;
8. **სანდრო მარანელი** - თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.

საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრა არ გამართულა.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანმა, გიორგი ჩაკვეტაძემ აღნიშნა, რომ წესდების თანახმად, აუცილებელია წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადასტუროს წევრების უფლებამოსილება. შესაბამისად კენჭისყრაზე დადგა არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების დადასტურების (ცნობის) საკითხი.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

მომხრე: 46

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დადასტურებული (ცნობილი) იქნას წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგი წევრების უფლებამოსილება: 1. სოფიო ხუციშვილი 2. თამილა ჩალაძე 3. მანანა ნიკოლაიშვილი 4. მარინა გურგენიშვილი 5. ნოდარ ლომიძე 6. ილია თავხელიძე 7. ბექა დვალიშვილი 8. სანდრო მარანელი.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილება. როგორც მომხსენებელმა, მარინა ჩავლეიშვილმა აღნიშნა, ცვლილება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით ცვლილება შედის ფაკულტეტის დებულების მე-6 მუხლში და ემატება შემდეგი შინაარსის „პ2“ ქვეპუნქტი: „დეკანის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტ(ებ)ის სადისერტაციო თემ(ებ)ის დამტკიცებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის დანიშვნის თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

მომხრე: 52

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილება წარმოდგენილი სახით (დანართი №3).

5. საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის №64/2019 დადგენილება. როგორც მომხსენებელმა, კახაბერ ჭეიშვილმა აღნიშნა, 2016 წლიდან უნივერსიტეტში ხორციელდება პროფესიული პროგრამები სამ სხვადასხვა ფაკულტეტზე. საქმიანობის სპეციფიკიდან, პროგრამების ოპერატიული მართვისათვის, ასევე ავტორიზაციის ექსპერტების რეკომენდაციის გათვალისწინებით (მიზანშეწონილად ჩაითვალა აკადემიური და პროფესიული პროგრამების გამიჯვნა), საჭირო გახდა ამგვარი ცენტრის შექმნა, რაც განხორციელდა უნივერსიტეტის, შესაბამისი სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის საერთო ძალისმეხით.

ცენტრის მიზანია შრომის ბაზარზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება და გადამზადება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავების, განვითარებისა და განხორციელების პროცესის ხელშეწყობა

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობით და სხვა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

მომხრე: 52

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის №64/2019 დადგენილება (დანართი 4)

6. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა არჩილ კუკულავამ საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოადგინა „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის No112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ “აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის No122/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 მაისის No45/2019 დადგენილება.

აღნიშნა, რომ აღნიშნული და მომდევნო საკითხი ერთგვაროვანია და ითვალისწინებს ცვლილებას ე.წ „ა“ და „ბ“ კატეგორიის პერსონალისათვის და ადგენს, რომ ამ კატეგორიის პერსონალს შრომითსამართლებრივი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (ნებადართულია: შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება, არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში, ასევე უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო/კვლევით/უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა ან ხსენებული ხელშეკრულების ან მემორანდუმის ფარგლებში, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა ანუ როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ამ ცვლილებით დადგენილების ტექსტში ემატება – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიები.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა გიორგი ოთხმეზურმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

მომხრე: 52

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ “აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 მაისის №45/2019 დადგენილება. (დანართი 5)

7. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა არჩილ კუკულავამ საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოადგინა „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 მაისის №46/2019 დადგენილების დამტკიცება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

მომხრე: 52

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 მაისის №46/2019 დადგენილება (დანართი 6)

8. წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ ლაშა საღინაძემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

გეგმავს უნივერსიტეტის ქუჩის და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიმდებარედ, არსებული საფეხმავლო ხიდის გვერდით ბაგებში გადასასვლელი სამანქანო ხიდის მშენებლობას და ახალი გზის გაყვანას, რისთვისაც უნივერსიტეტის საკუთრებაში, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებული 157789 მ2 ფართის მქონე მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი 01.14.06.006.020) საჭიროა 6830 მ2 ფართის მქონე მიწის ნაკვეთის გამიჯვნა და მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემა, რის სანაცვლოდაც უნივერსიტეტი ასევე კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღებს სხვა მიწის ნაკვეთებს (ჯამში 16 257 კვ.მ.). მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისი ვიზუალური ფოტომასალა. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, აქტიურ ფაზაშია სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მშენებლობის თემის განხილვა. გამოქვეყნებული იქნა Systra – სპექტუმის ჯგუფის წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ „ , ახალი სტუდენტური საერთო საცხოვრებლისათვის ახალი ხიდი არის გარანტია, რომ თსუ მაღლივი კორპუსის სტუდენტები და თბილისის ღია უნივერსიტეტის სტუდენტები ველოსიპედებით და საზოგადოებრივი ტრანსპორტით სწრაფად და მარტივად შეძლებენ უნივერსიტეტში მისვლა-მოსვლას, რაც სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მიმზიდველობას საგრძნობლად აამაღლებს.

აუცილებელი იქნება საერთო საცხოვრებლის გენერალური გეგმის შედგენის დროს საერთო საცხოვრებლიდან ხიდისკენ მისასვლელი გზის და ველობილიკების გათვალისწინება; ხიდის პროექტირებისას კი, ამ მისასვლელების ხიდთან დაკავშირების შესაძლებლობის გათვალისწინება.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წერილით, სადაც აღნიშნულია, რომ ხიდამდე მისასვლელი ტერიტორია წარმოადგენს ხალხმრავალ ადგილს, უნივერსიტეტის მე-10 და მე-11 კორპუსებიდან უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიმართულებით და პირიქით ყოველდღიურად ასობით და საგამოცდო პერიოდში (უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შენობაში განთავსებული უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი) ათასობით სტუდენტი გადაადგილდება, შესაბამისად ითხოვა ინფორმაცია, გზის გაყვანის შემთხვევაში, თუ როგორ გეგმავს ქალაქ თბილისის მერია აღნიშნული სივრცის (მე-10 და მე-11 კორპუსების) დაკავშირებას ერთმანეთთან, ისე რომ სტუდენტთა და მოქალაქეთა (მ.შ. შშმ პირთა) უსაფრთხო და შეუფერხებელ გადაადგილებას საფრთხე არ შეექმნას. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, თავისი წერილით გამოთქვა მზადყოფნა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და მისი სტუდენტების საჭიროებისამებრ, ამ პროექტის ფარგლებში დამატებით გაითვალისწინოს და განახორციელოს ფეხითმოსიარულეთათვის განკუთვნილი უსაფრთხო გადასასვლელების მოწყობა-მშენებლობა სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეთანხმებით, მისი მოთხოვნების შესაბამისად.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სხდომას ესწრებოდნენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის და ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელები.

საკითხის ირგვლივ გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ, როგორც სენატის წევრები, ასევე მერიისა და თსუ ადმინისტრაციის წარმომადგენლები. როგორც მერიისა და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მიმდინარეობდა სხვადასხვა სახის პროექტების განხილვა, მაგრამ საბოლოოდ შეჩერდნენ პროექტზე, რომელიც არის ყველაზე ხარჯთეფექტური, სწრაფად განხორციელებადი და რომ იგი დადებითად აისახება ქალაქის სატრანსპორტო სისტემებზე, განტვირთავს მიმდებარე უბნებს, ასევე, ზოგადად, გაუმჯობესებს ქალაქში მობილობას და ეკოლოგიური მდგომარეობას. მათი მხირდან გაიცა პირობა, მიმდებარე ტერიტორიებზე საჭიროებისამებრ გადასასვლელი ხიდებისა და შუქნიშნების მოწყობის თაობაზე, ასევე არსებული წყლის კომუნიკაციების გამოცვლაზე.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

მომხრე: 52

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება:

თსუ წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) არ არის წინააღმდეგი განიკარგოს თსუ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის წერილში (N 11321/10 14/06/2019) მითითებული პირობით და ამასთან იმის მხედველობაში მიღებით, რომ პროექტის განხორციელებისას გათვალისწინებული იქნება თსუ ადმინისტრაციის მოთხოვნები და მათთან დაკავშირებული შესაძლო თანმდევი საჭიროებები. (დანართი 7)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი

ვლადიმერ მარგველაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი


გიორგი ჩაკვეტაძე

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები
2019 წლის 17 ივნისი


ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:


აბესაძე ნინო - 

კაკულია ნაზირა -

საბაური ლევანი -

ხობოზია მერაბი - 

სტუდენტები:

სახვაძე საბა - 

სიამაშვილი ირაკლი -

ბერაძე თამარი - 

შვანგირაძე მათე - 


ჯაფოშვილი გიორგი -

ლაშხი თამარი - 

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი


პროფესორები:

არჩვაძე ნათელა -


თუთბერიძე ზეჟანი - 

მაჭავარიანი ლია - 


გეგეჭკორი არნოლდი -

მუკბანიანი ომარი - 

ჩხაიძე სიმონი - 

თაველიძე ილია (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ) - 

სტუდენტები

ბილისეიშვილი გიორგი - 


მუმლაძე ლაშა -

ონიანი ლუკა -

ტაბატაძე გიორგი -

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

თუმანიშვილი გიორგი - 

ივანიძე მაია - 


გარიშვილი მარინა - 


ყალიჩავა კობა -

სტუდენტები:

ონიანი ირაკლი - 

თურმანიძე ლუკა -

ჯავახიშვილი არჩილი - 

მარანელი სანდრო (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ) - 

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

მარგველაშვილი ვლადიმერი - 

ქიტუაშვილი თინა

ხოდელი ნოდარი -

ჩხაიძე ზურაბი -

სტუდენტები:

უმფრიანი ლერი -

ჩართოლანი ანა - *ა. ჩართოლი*

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

გოგსაძე გიორგი -

დუნდუა სალომე -

ჭალაგანიძე ნინო -

სტუდენტები:

ბებერაშვილი ელენე -

გაბაშვილი ალექსანდრე -

ჩიტაია დავით -

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ყვანია ირინე -

ჩახუნაშვილი ნინო -

სტუდენტები

დანავა ქეთევანი -

თოფურია სალომე -

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ლორია კახაბერი -

ზაქარიამე ანასტასია -

ბახტაძე მიხეილი -

ბუალავა ელისაბედი -

ოთხმეზური გიორგი -

რუსეიშვილი მანანა -

ვარდოშვილი ეკა -

თაბუაშვილი აპალონი -

სტუდენტები

თვალაძე მარიამი -

ცოფურიშვილი ნიკოლოზი -

კეჭერაშვილი შოთა -

ხუციშვილი დინა -

დვალიშვილი ბექა (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ) -

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

გაიპარაშვილი ზურაბი -

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი

ღარიბაშვილი ირაკლი -

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

სუმბაძე ციური -



არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცელაძე გვანცა -

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

ცეციშვილი თემური -

თ. ცეციშვილი

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ოსელიანი ხათუნა -

ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური წედლეულის კავკასიის ინსტიტუტი

ახალბედაშვილი ლალი -



პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

კაკულია ეთერი -

ე. კაკულია

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

ხუციშვილი მარინე -



შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნემსაძე ადა -

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

რუხაია მიხეილი -

მ. ჯ

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი -

სოფიო ხუციშვილი (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ) - ს. სერძველი

თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

თამილა ჩალაძე (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ) - თ. ჩალაძე

მიხეილ ნოდუას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი;

მანანა ნიკოლაიშვილი (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ) -

პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

მარინა გურგენიშვილი (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ) -

მ. თინა










მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;














ნოდარ ლომიძე (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ) -

ნ. ლომიძე

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია
2019 წლის 17 ივნისი

1. გიორგი შარვაშიძე, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე -
2. ავაზაშვილი ნიკოლოზ 
3. ამირანაშვილი ავთანდილ - 
4. ანანიაშვილი ნათელა -
5. გამყრელიძე ერეკლე -
6. გონაშვილი ვასილ -
7. გოცირიძე დავით - 
8. ვაშაკიძე თამარი -
9. ზაუტაშვილი მარინე - 
10. იმნაძე პაატა - 
11. კერესელიძე დავით - 
12. კვინიკაძე მურმან - 
13. კუხიანიძე ალექსანდრე - 
14. ლობჯანიძე გია - 
15. ლომიძე გაგა -
16. მაისაშვილი ხათუნა -
17. მესტერიშვილი მაია -

- 18. მექვაბიშვილი ელგუჯა - 
- 19. მინდაძე ნინო - 
- 20. სანაძე რუსუდან -
- 21. სილაგაძე ავთანდილ - 
- 22. ფერაძე გოჩა - 
- 23. ფურთუხია ომარ - 
- 24. ქიტიაშვილი ანასტასია -
- 25. ქურდაძე ირინე - 
- 26. ქურდაძე რამაზ - 
- 27. ღვედაშვილი გიორგი -
- 28. ყარალაშვილი თამაზ -
- 29. ყულიჯანიშვილი აკაკი - 
- 30. შავლაყაძე ნუგზარ - 
- 31. შანიძე რევაზი - 
- 32. შენგელია თემური - 
- 33. ცაგარელი ზურაბ -
- 34. ცინცაძე ნოდარ -
- 35. ცისკარიძე ალექსანდრე - 
- 36. წერეთელი მარი -
- 37. ხარშილაძე ირმა -
- 38. ხუსკივაძე მამუკა - 



წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №2, დანართი 3
საჯარო საპროცესო მუხილი -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF ECONOMICS AND BUSINESS

N 6462/29
10/04/2019

6462-29-3-201904101505



სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს,
ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ ეკონომიკისა და
ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში დამატების შეტანის თაობაზე ფაკულტეტის საბჭოს
გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,

გიორგი ლაღანიძე

დეკანი
ადმინისტრაცია

ამონაწერი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 27 მარტის სხდომის

#6 ოქმიდან

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტის დ. მახვილამის ინფორმაცია, ფაკულტეტის დებულებაში დამატების შეტანის შესახებ:

შევიდეს ცვლილება თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით (ოქმი №4) დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში“ და დებულების მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ2“ ქვეპუნქტი:

„პ2) დეკანის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტ(ებ)ის სადისერტაციო თემ(ებ)ის დამტკიცებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის დანიშვნის თაობაზე;“

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორ გ. ლაღანიძემ გააკეთა დამატებით განმარტებები საბჭოს წევრებისათვის. საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 28

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

1. შევიდეს დამატება თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით (ოქმი №4) დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში“ და დებულების მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ2“ ქვეპუნქტი:

„პ2“) დეკანის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტ(ებ)ის სადისერტაციო თემ(ებ)ის დამტკიცებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის დანიშვნის თაობაზე;“

2. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში დამატების შეტანის თაობაზე“

ფაკულტეტის საბჭოს წინამდებარე გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს
თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი:



გ. ლადანიძე

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი:



მ. მაისურაძე



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 64/2019

7 ივნისი 2019წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პროფესიული განათლების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, 61-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-6 და მე-7 ნაწილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ და „დ“ ქვეპუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ და „წ“ ქვეპუნქტების, 2019 წლის 4 ივნისის №11321/10-02 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 ივნისის №10 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული - პროფესიული განათლების ცენტრი.
2. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პროფესიული განათლების ცენტრის დებულება (დანართი №1).
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ქუთაისის სასწავლო ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 ივნისის №61/2014 დადგენილება.
4. დაევალოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირებასა და განხორციელებაში ჩართული პერსონალის წინამდებარე დადგენილების ძალაში შესვლიდან 10 დღის ვადაში უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულში - პროფესიული განათლების ცენტრში კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაყვანისათვის სათანადო სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება და შესაბამისი პერსონალის თანხმობით გადაყვანის პროცესის დასრულება.

5. დაევალოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებსა და ადმინისტრაციას წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული განათლების ცენტრის დებულების შინაარსიდან გამომდინარე დადგენილების ძალაში შესვლიდან 10 დღის ვადაში უნივერსიტეტის შიდასამართლებრივ აქტებში შესაბამისი ცვლილებების მომზადებისა და დამტკიცების პროცესის უზრუნველყოფა.

6. დაევალოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს წინამდებარე დადგენილების ძალაში შესვლიდან 10 დღის ვადაში ცენტრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის ცენტრისათვის გადაცემის უზრუნველყოფა.

7. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

8. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ-ს კანცელარიას.


9. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

10. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე

რექტორი

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე



**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის -
პროფესიული განათლების ცენტრის დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი (შემდგომში - „ცენტრი“) წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულს.
2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით, ამ დებულებით და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.
3. ცენტრს აქვს ტიტულიანი ბლანკი და ბეჭედი.
4. ცენტრი განთავსებულია უნივერსიტეტის ქ. N2 - ში, 0186 თბილისი;
ნიკეას მე-2 შესახვევი N8 - ში, 0431 ქუთაისი.

მუხლი 2. ცენტრის საქმიანობა

ცენტრის ფუნქციებია:

- ა) შრომის ბაზარზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება და გადამზადება;
- ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავების, განვითარებისა და განხორციელების პროცესის ხელშეწყობა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობით;
- გ) პროფესიული სტუდენტების მისაღები კონტინგენტის განსაზღვრა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე საგაზაფხულო/საშემოდგომო მიღების ორგანიზება კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების საფუძველზე;
- დ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, კვალიფიკაციის მინიჭების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენისა და მობილობის პროცედურების განხორციელება კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების საფუძველზე;
- ე) პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურების განსაზღვრა, შრომითი ხელშეკრულებების დადებისა და შესრულების პროცედურების ორგანიზება კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების საფუძველზე;

- ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული სხვა პერსონალის სისტემატიური შეფასების პროცესის კოორდინაცია;
- ზ) პროფესიული სტუდენტების სასწავლო და საწარმოო პრაქტიკების ორგანიზებისთვის დამსაქმებლებთან ერთობლივი საქმიანობის წარმართვა;
- თ) პროფესიული სტუდენტის პირადი საქმის წარმოება;
- ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეესტრის წარმოება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით;
- კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობა;
- ლ) პროფესიული სტუდენტის გზამკვლევის (საინფორმაციო ბროშურა) და სხვა საცნობარო მასალის შემუშავება და გავრცელება;
- მ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში ადაპტირების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვა და მისი შესრულების მონიტორინგი;
- ნ) ცენტრში დასაქმებული პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და სხვა პერსონალისთვის შრომის ადეკვატური სამუშაო პირობების შექმნა.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრს მართავს და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს ცენტრის ხელმძღვანელი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
2. ცენტრის ხელმძღვანელს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილე, რომელთაც ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
3. ცენტრის თანამშრომლებს, ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით.
4. ცენტრის ხელმძღვანელის დროებით არყოფნისას (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა), მის მოვალეობას ასრულებს ხელმძღვანელის პირველი მოადგილე.
5. სასწავლო პროცესის განხორციელების უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების საფუძველზე ნიშნავს და ათავისუფლებს პროფესიული განათლების მასწავლებელს.
6. ცენტრისათვის უნივერსიტეტის სამტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების დასახელებებია: ცენტრის ხელმძღვანელი, ცენტრის ხელმძღვანელის

პირველი მოადგილე, ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე, მენეჯერი, სპეციალისტი.

7. ცენტრში დასაქმებული თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობები, განისაზღვრება წინამდებარე დებულებით, სამუშაო აღწერილობითა და შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 4. ცენტრის ხელმძღვანელობა

1. ცენტრის ხელმძღვანელი:

- ა) უძღვება ცენტრის საქმიანობას, ახორციელებს ცენტრის საერთო ხელმძღვანელობას და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას;
- ბ) განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტებსა და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;
- გ) განსაზღვრავს ცენტრში დასაქმებული პერსონალის დანიშვნისა და გათავისუფლების პირობებს, ზედამხედველობს ცენტრის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;
- დ) ხელს აწერს ცენტრში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებულ სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას;
- ე) წარადგენს ანგარიშს ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, უნივერსიტეტის რექტორის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;
- ვ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;
- ზ) წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს ცენტრის შიდა სტრუქტურის, თანამშრომლების მუშაობის, წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
- თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს – ბრძანებას კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების საფუძველზე;
- ი) პერიოდულად ისმენს ცენტრის თანამშრომლების ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;
- კ) შუამდგომლობს ცენტრის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;
- ლ) ცენტრის ფარგლებში ადმინისტრირებას უწევს ავტორიზაციის პროცესისთვის მომზადებას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სხვა

სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობით;

მ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით განსაზღვრავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების საფუძველზე;

ნ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული სხვა პერსონალის სისტემატიური შეფასების პროცესს;

ო) პროფესიული სტუდენტების სასწავლო და საწარმოო პრაქტიკების ორგანიზებისთვის დამსაქმებლებთან ერთად გეგმავს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს;

პ) წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

ჟ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში და უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით თანამშრომლობს საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სტრუქტურებთან;

რ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე:

ა) ხელს უწყობს ცენტრის ხელმძღვანელს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელების დაგეგმვა-კოორდინაციასა და ორგანიზებაში;

ბ) მონაწილეობს ცენტრში არსებული ამოცანების დროულად გადაჭრაში და აძლევს თანამშრომლებს დავალებებს უფლებამოსილების ფარგლებში;

გ) მონიტორინგს უწევს ცენტრის ხელმძღვანელის მიერ მიცემული დავალებების შესრულების პროცესს;

დ) მონაწილეობს ცენტრში შემუშავებული დოკუმენტების პროექტების მომზადებაში;

ე) მონაწილეობს ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადებაში;

ვ) მონაწილეობს სასწავლო პროცესის დაგეგმვა-კოორდინაციასა და ორგანიზებაში;

ზ) მონაწილეობს ცენტრის ფარგლებში ავტორიზაციის პროცესის მომზადებაში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით;

თ) აკეთებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო საქმიანობის ანალიზს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად;

ი) ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს აპლიკანტებისა და პროფესიული სტუდენტების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამუშაოების მომზადებასა და წარმართვას;

კ) ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებით განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტების

მისაღები კონტინგენტის რაოდენობას;

ლ) ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ორგანიზებას უწევს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საგაზაფხულო/საშემოდგომო მიღების პროცედურების დაცვას კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების გათვალისწინებით;

მ) ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებით უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, კვალიფიკაციის მინიჭების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენისა და მობილობის პროცედურების განხორციელებას კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების საფუძველზე;

ნ) ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს ცენტრის ხელმძღვანელის, რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სხვა დავალებებს.

3. ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობს ქ. თბილისის ფარგლებს გარეთ ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებად საგანმანათლებლო პროგრამებზე დასაქმებულ თანამშრომლებს და პასუხისმგებელია მათ მიერ შესრულებულ საქმიანობაზე;

ბ) ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ანაწილებს ფუნქცია-მოვალეობებს თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

გ) უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების სასწავლო პროცესის გამართულ მუშაობას;

დ) იხილავს და ხელს აწერს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მომზადებულ დოკუმენტებს;

ე) ცენტრის ხელმძღვანელს წარუდგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების კანდიდატურებს და მონიტორინგს უწევს მათ მიერ შესრულებულ საქმიანობას;

ვ) ცენტრის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს თანამშრომლების მიღების, გათავისუფლების, წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ზ) უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას;

თ) მონაწილეობს ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადებაში;

ი) ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ადმინისტრირებას უწევს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საგაზაფხულო/საშემოდგომო მიღების პროცედურების დაცვას კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების გათვალისწინებით;

კ) ასრულებს ცენტრის ხელმძღვანელის სხვა დავალებებს.

მუხლი 5. ცენტრის დაფინანსება

ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

- ა) მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსება;
- ბ) მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება, რომელიც გამოიყოფა პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელებისთვის;
- გ) ცენტრის მიერ მოპოვებული საპროექტო, საგრანტო, საკონკურსო, გამოყენებითი, სასწავლო და სხვა დამატებითი საქმიანობით მიღებული დაფინანსება;
- დ) სახელშეკრულებო საფუძველზე შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული მიზნობრივი სახსრები;
- ე) მიზნობრივი შემოწირულობები.

მუხლი 6. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. ცენტრის გარდაქმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის გარდაქმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.



სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 45/2019

6 მაისი 2019 **წ.**

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 22 აპრილის №7365/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 მაისის №7 სხდომის ოქმის საფუძველზე.

აკადემიური საბჭო ადგენს:


1. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში და მე-2 პუნქტით დამტკიცებული №2, №3, №4, №5, №6 და №7 დანართები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით (დანართი №2, დანართი №3, დანართი №4, დანართი №5, დანართი №6, დანართი №7).

2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე

რექტორი

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე



სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის** აკადემიური პერსონალის
თანამდებობრივი სარგო

1. **„გ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -**

- ა) პროფესორი - თვეში 1150 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 920 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 700 ლარი.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - **პროფესორის**ათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, **ასოცირებული პროფესორის**ათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, **ასისტენტ-პროფესორის**ათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

ბ.ა) პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ

მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) – **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

